კომუნიზმი გვეძახის...

საბჭოთა ხალხმა უდიდესი ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის დღესასწაული. განვლილი ორმოცდაოთხი წელი, საბჭოთა ხელისუფლების ორმოცდაოთხი წელი მშობლიური კომუნისტური პარტიის უდიდესი ტრიუმფია, მისი დიდი საქმის ზეიმია.

წელს ოქტომბრის წლისთავის დღესასწაულს წინ უსწრებდა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში — სკკპ XXII ყრილობა, რომელმაც მიიღო პარტიის ახალი პროგრამა — კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა. ოქტომბრის წლისთავისადმი მიძღვნილმა დემონსტრაციებმა მთელ ჩვენს ქვეყანაში ბრწყინვალედ დაადასტურა, რომ ეს პროგრამა — მეოცე საუკუნის კომუნისტური მანიფესტი, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის კონკრეტული გეგმაა.

დაიწყო დიდი ოქტომბრის ორმოცდამეხუთე წელი. საბჭოთა ხალხი უდიდესი ენერგიით შეუდგა მორიგი პრაქტიკული ამოცანების გადაჭრას. სკკპ ახალი პროგრამის დროშით შთაგონებულ, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების უცდავი იდეებით შეიარაღებული მრავალრიცხოვანი საბჭოთა სახელმწიფოს მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განახორციელონ პარტიის დიადი წინასწარდასახულობანი.

მძლავრ ტალღასავით კიდით კიდემდე მოედო ჩვენს ქვეყანას ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგები და კრებები. მშრომელები მხურვალედ და ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ კურსსა და პრაქტიკულ საქმიანობას, ადიდებენ თავიანთ მშობლიურ ლენინურ პარტიას, ახალი დიდი ამოცანების შესაბამისად სახავენ თავიანთი მუშაობის კონკრეტულ გეგმებს.

საბჭოთა ხალხს თავიანთ ხმას უერთებენ საქართველოს მშრომელები. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, სამრეწველო საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, ყველგან, ჩვენი საქმიანობის ყველა უბანზე, უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა. ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ნოვატორმა მეფოლადემ, სკკპ XXII ყრილობის დელეგატმა ამირან ფანცულაიამ თქვა:

— პარტიის ახალი პროგრამა — ეს არის უკეთესი მომავლის, ბედნიერი ცხოვრების, ჩვენთვის, ჩვენი შვილებისათვის საამური ხვალინდელი დღის მშენებლობის პროგრამა. იგი გაცისკროვნებულია ადამიანისადმი უდიდესი, კომუნისტური მზრუნველობის უკეთილშობილურესი გრძნობით. და გინდა კიდევ უფრო მეტ და უკეთ იმუშაო, მთელი ცოდნა და გამოცდილება მოახმარო საქმეს, რათა შენი მცირედი შრომაც შეუერთდეს მილიონობით საბჭოთა ადამიანის შრომას პარტიის საქმის საკეთილდღეოდ, დიდი ლენინის საქმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ამ სიტყვებში გამოხატულია საქართველოს სახელოვანი მუშათა კლასის ფიქრები და გრძნობები, მშრომელთა ნება და სანუკვარი მისწრაფებანი. ამ ფიქრებით, ამ მისწრაფებებით ამეამად ჩადგება გიგანტური შრომა ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, ახალმშენებლობებზე, რათა ჩვენი დიადი მიზანდასახულობანი იქცეს სინამდვილედ, რათა ხელშესახები გავხადოთ ჩვენი დიადი გეგმები.

ჩვენი სოციალისტური სოფლის მშრომელთა მისწრაფება კარგად გამოხატა სიღნაღელმა მექანიზატორმა, სკკპ XXII ყრილობის დელეგატმა ივანე ბაიდოშვილმა.

— პარტიის ახალი პროგრამა, — თქვა მან, — უდიდეს ამოცანებს უსახავს სოფლის მეურნეობის მუშაკებს. ჩვენი პატრიოტული ვალია განუხრელად ვზარდოთ ხასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. ჩვენ უნდა შევქმნათ კომუნიზმის შესაფერი სიუხვე. ამისათვის კი საჭიროა თვითეულს თავდადებული შრომა, კომუნისტური შემართება, გაბედული და გონივრული საქმიანობა. ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ კომუნიზმი იქმნება ჩვენი ხელით, ჩვენი შრომით. დასახული გეგმების ბედი წყდება დღეს, და ეს გეგმები შესრულდება!

პარტიის ახალი პროგრამის გრანდიოზულობა და სიდიადე, იმის ღრმა შეგნება, რომ საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს, აღფრთოვანებს თვითეულ მშრომელს, ულვიძებს სურვილს იცხოვროს და იმუშაოს უმაგალითო ენთუზიაზმით. ეს სურვილი იქცევა კონკრეტულ საქმეებად, სახელოვან შრომითს გმირობად. სკკპ XXII ყრილობის მუშაობის დღეებში ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მოდიოდა სასახარულო ცნობები ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების შესახებ. ახლა მოდის ცნობები შვიდწლედის დავალებათა ვადამდე განხორციელებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ახალი მძლავრი აღმავლობის შესახებ, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის შემდგომი განვითარების შესახებ. ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული მშრომელები კისრულობენ ახალ გაზრდილ ვალდებულებებს.

რა არის საჭირო ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის? ახლა მთავარია ყოველდღიური ღრმად მოფიქრებული, თავდადებული, ნოვატორული შრომა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული გეგმების განხორციელების ბედი წყდება ყოველდღე. ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში. პარტიის პროგრამით დასახული კომუნიზმის მშენებლობის ოცწლედისათვის ერთი დღე, ერთი საათი ხომ თითქოს არაფერია, მაგრამ ერთი უქმად დაკარგული დღეც, ერთი დაკარგული საათიც კი ზიანს მიაყენებდა ჩვენი დიადი მომავლის დიდებულ შენობას. როგორც ნაგებობაში თვითეულ აგურს თავისი ადგილი უჭირავს და აუცილებელია, ასევე ჩვენს მრავალწლიან ბრძოლაში თავისი ადგილი უჭირავს თვითეულ დღეს; თვითეული ეს დღე აღსავსე უნდა იყოს შემოქმედებითი შრომით, ბრძოლით, შენებით, წინსვლით...

„საძე ახლა სწორედ იმას ეხება, რომ ყოველი მხრიდან შევუდგეთ იმ უენობის პრაქტიკულ ამოცანას, რომლის გეგმა ჩვენ უკვე დიდი ხანია მოგესახეთ, რომლის ნიაღაგს ჩვენ საკმაო ენერგიულობით ვიპყრობდით და საკმაო სიმტკიცით დავიპყარით, რომლის მასალა ჩვენ საკმაო რაოდენობით მოვაგროვეთ და რომელ-

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 258 (12172) | შაბათი, 11 ნოემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ეს დღეები ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★

ბედნიერებისათვის, წინსვლისათვის...

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა ჭეშმარიტად დიდი ეტაპია საბჭოთა ხალხის გმირულ ისტორიაში. იგი გზას გაუშუქებს ჩვენი საშობლოს მომავალს, მთელი კაცობრიობის მომავალს. ასე ფიქრობს საბჭოთა ხალხი, ასევე ფიქრობენ ჩვენი რაიონის მშრომელები. ისინი გულდასმით სწავლობენ ყრილობის ისტორიულ დოკუმენტებს, ამბანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის დიდმნიშვნელოვან მოხსენებებს, საბოლოო სიტყვას.

მშობლიური პარტიის დიდი ყრილობით აღფრთოვანებული ჩვენი რაიონის მშრომელები ახალ-ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ ამ დიდ ოვლენას. ფარახეთის, სორის, შეუბნის, ქვედის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა გადაპარბინეთ შეასრულეს მეცხოველეობის სულადობის ზრდის გეგმები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გეგმები.

ყრილობის აღსანიშნავ მიტინგებზე მშრომელები აღტაცებით ლაპარაკობენ იმ ზრუნვაზე, რასაც ჩვენი პარტია იჩენს ხალხისადმი. სოფელ სორის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. კერვალიშვილმა მიტინგზე თქვა:

— ჩვენი ხალხი დიდ ისტორიულ მოვლენას ყოველთვის შრომითს საჩუქრებს უძღვნის ხოლმე. შეასრულეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებია და შესყიდვის წლიური გეგმები.

შეუბნის კოლმეურნეობამ წელს ყურძნის კარგი მოსავალი მიიღო. თვითეულ ჰექტარზე მოკრეფილია 46 ცენტნერი ყურძენი, ბევრით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ა. კევლიშვილი,
საქართველოს კპ ონის რაიკომის პირველი მდივანი.

გამარჯვებული

უმაგალითო ენთუზიაზმი სუფევს ამ დღეებში ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის კვანძის საწარმოებში. სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს რკინიგზელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უპასუხებენ შრომის ნაყოფიერების გადიდებით, სახალხო-სამეურნეო ტვირთის დანიშნულებისამებრ მიტანის ტემპის შემდგომი აჩქარებით და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირებით.

საელმავლო დეპოს მძღოლებმა ჯერ კიდევ ოქტომბრის დამდეგს იწყეს მატარებლების წაყვანა ნოემბრის ანგარიშში. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია დიდი ოქტომბრის 44-ე წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე მემანქანეთა კოლონამ, რომელსაც ხელმძღვანელობს მემანქანე-ინსტრუქტორი, სოციალისტური შრომის გმირი გ. ბოგვერაძე. 7 და 8 ნოემბერს 80 პროცენტი ყველა მატარებლისა, რომლებიც დანიშნულებისამებრ მიიყვანეს ამ კოლონის მემანქანეებმა, დიდ ტვირთთანი იყო. კოლონა წარმატებით იბრძვის კომუნისტური შრომის კოლექტივის სატიტო წოდებისათვის.

ახალი შრომითი გამარჯვებანი უპატაკეს სამშობლოს სადგურ ნავთლუღის მოძრაობის დარგის მუშაკებმაც. მარტო გუშინ მათ შეადგინეს და ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში გაგზავნეს 20-მდე მატარებელი, გეგმის გადაჭარბებით გადაზიდეს ათიათასობით ტონა ტვირთი. აქ კომუნისტური შრომის მაგალითს იძლეოდნენ შემდგენლები დ. ეფნატაშვილი, შ. ბასიანეილი, გადამბმელი ო. კაკაშვილი და სხვები, რომლებმაც თვითეული მატარებლის მომზადების დრო ნორმით გათვალისწინებულთან შედარებით 30-35 წუთით შეამცირეს.

ზრუმის ტრიუმფი

რუსთავი. (საკ. კორ.). ძნელია მოიძებნოს ისეთი ბრიგადა, ცვლა, საამქრო თუ ქარხანა, სადაც ახლა პროდუქცია არ მზადდებოდეს გეგმის გადამეტებით. და ეს შემთხვევითი როდია. პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულ რუსთავის მშრომელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ წარჩინებული შრომით უპასუხონ ისტორიულ ყრილობას და რაც შეიძლება მოკლე დროში გადაიქციონ მშობლიური ქალაქი კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის ქალაქად.

მოწინავეთა რიგებში კვლავ ის ბრიგადები და ცვლები არიან, რომლებსაც ამ დღეებში ეწოდათ პარტიის XXII ყრილობის კოლექტივები. გ. ბერეკაშვილი, ზ. ყაველაშვილი და ი. ტაბატაძე მტკიცედ იცავენ პირობას და მხოლოდ მძიმეწონიან ფოლადს ადნობენ.

მივცეთ სამშობლოს მეტი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მინერალური სასუქები, ცემენტი, ვაშენოთ სწრაფად, იაფად და მაღალხარისხოვნად — ეი დევიზი, რომლითაც ამეამად შრომობენ რუსთავის მშრომელები.

დიდი იდეა შთააგონებთ

მარნეული. (საკ. კორ.). ათასზე მეტი აგიტატორი და წამკითხველ-მესტუბრე ეწევა რაიონის მშრომელებში პარტიის XXII ყრილობის მასალების პროპაგანდას. ამბანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებმა, საბოლოო სიტყვამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია კოლმეურნეებში. კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული გეგმებით აღფრთოვანებული მშრომელები აცხადებენ, რომ კიდევ უფრო დაძაბავენ ენერგიას, მაქსიმალურად გამოიყენებენ არსებულ შესაძლებლობებს და უახლოეს პერიოდში ერთიორად გაზრდიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას.

როცა აგიტატორმა გ. ხარშილაძემ მარნეულის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთ ბრიგადაში თავისი საუბარი დაამთავრა, საბჭოთა მეურნეობის მუშამ ა. ჰუსეინოვმა განაცხადა:

— ჩვენი საბჭოთა მეურნეობა წელს რეორგანიზაციის პერიოდში იყო. მიუხედავად ამისა, მაინც შეგვეძლით ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების დავალებათა შესრულება. პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, მომავალში კიდევ უფრო განვავითარებთ სოფლის მეურნეობას და სახელმწიფოს მივცემთ მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ფაშკენტში ჩავიდა

ტაშკენტი. 10 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ტაშკენტში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. იგი მონაწილეობას მიიღებს შუაზიის რესპუბლიკების, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის სამხრეთი ოლქების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირში.

უნიკალური ფონდი

ვ. ი. ლენინის 27 იშვიათი ფოტოსურათი

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში დაცულია გლადიმერ ილიას-ძე ულიხის სიცოცხლეში გადაღებული ფოტოსურათებისა და კინოკადრების უნიკალური ფონდი. ჩვენ ვხედავთ დიდ ბელადსა და მასწავლებელს ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში, ვხედავთ, როცა წარმოუჭეამს სიტყვებს ხალხს ზინაზე, ვხედავთ მშრომელთა ჯგუფებში, ყრილობებსა და კონგრესებზე, დღესასწაულთა დღეებში, დასვენების დროს.

ამ უნიკალური ფონდის 104 ფოტოსურათი შევიდა ალბომში „ვლადიმერ ილიას-ძე ულენინი", რომელიც ბელადის დაბადების 90 წლისთავისათვის გამოვიდა.

დიდი ოქტომბრის 44-ე წლისთავის წინ სახვითი ხელოვნების გამოცემლობამ გამოაქვეყნა ალბომის ახალი მნიშვნელოვნად გაფართოებული გამოცემა, რომელიც მოამზადეს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა. ალბომში დამატებით შეტანილია 27 იშვიათი სურათი. თითქმის ყველა უკავშირდება საბჭოთა პერიოდს, ვლადიმერ ილიას-ძის მრავალმხრივ საქმიანობას საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე.

სურათებს შორის რამდენიმე ნაკლებად ცნობილი პორტრეტია. ახალი ფოტოსურათების ძირითადი ნაწილი კი გვიჩვენებს ვ. ი. ულენინს ხალხთან.

ერთ-ერთ იშვიათ სურათზე ვლადიმერ ილიას-ძე აღბეჭდილია განათლების საკითხებზე მოწვეულ სრულიად რუსეთის I ყრილობაზე, რომელიც 1918 წლის აგვისტოში გაიმართა, მეორეზე — სახალხო კომისართა საბჭოს სამდივნოს თანამშრომელთა ჯგუფთან კრემლში. საინტერესოა ფოტოსურათი საადგილმამულო განყოფილებებისა და ღარიბთა კომიტეტის სრულიად რუსეთის I ყრილობის კრებზიდიუმისა. ეს ყრილობა გაიმართა 1918 წლის დეკემბერში კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. ყრილობის პრეზიდიუმი არიან ვ. ი. ულენინი და ი. მ. სვერდლოვი. ტრიბუნაზეა ტრანსპარანტი, რომელზეც წარწერილია სიტყვები: „თავისუფალი შრომა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებში კომუნიზმის გზაა მიწათმოქმედებაში". აი კიდევ ერთი იშვიათი სურათი. ვ. ი. ულენინი და მ. ი. კალინინი გადაღებული არიან 1920 წლის ძარტში კავშირების სახლში მშრომელი კაზაკების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის დელეგატების ჯგუფთან.

ნაკლებად ცნობილ ფოტოსურათებზე აღბეჭდილია ილიჩი რკპ (ბ) IX ყრილობის პრეზიდიუმში, სამთო მუშების სრულიად რუსეთის II ყრილობის დელეგატებს შორის, რომელიც 1921 წელს გაიმართა კრემლში, ჩვენ ვხედავთ ულენინს, რომელიც სიტყვას ამბობს რკპ (ბ) X ყრილობაზე, „ცენტროპეჩატის" თანამშრომელთა ჯგუფში, რომლებიც მუშაობდნენ გრამაფონის ფირფიტებზე მისი სიტყვების ჩაწერაზე, მახლობელთა წრეში კრემლის ბინაზე...

ულენინის დოკუმენტური ფოტოსურათების ახალი ალბომი ყველაზე სრულია ადრე გამოცემულ ყველა ალბომს შორის. აქ დაბეჭდილი სურათები საშუალებას გვაძლევენ უფრო ღრმად გავიგოთ და დავიცვათ ჩვენს გულში დიდი ბელადის მარადიცოცხალი სახე.

ალბომის დანართში აღბეჭდილია ფოტოსურათების წარწერები, თარგმნილი ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე. (საკდესი).

სურათზე: სტალინირის რაიონის ქსუისის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი გულნარა ნასყიდაშვილი, რომელმაც წელს 0,2 ჰექტარ ფართობზე ჰექტარზე გადაანგარიშებით 208 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა.

ფოტო ვ. უბოეენკოსი.

სახელი გადაერქვა მაღაროელთა ქალაქს

კიევი, 9 ნოემბერი. (საკდესი). მხედველობაში მიღებულია რა სტალინოს ოლქის სამრეწველო საწარმოების, შახტების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სასწავლებლების კოლექტივთა სურვილები, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შუამდგომლობანი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 9 ნოემბრის ბრძანებულებით სტალინოს ოლქს დაერქვა დონეცკის ოლქი და ქალაქ სტალინოს — ქალაქი დონეცკი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება — გადაეცეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას ჩეხოსლოვაკიის საარქივო მასალები, რომლებიც საბჭოთა არმიამ გადაარჩინა 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს და რომლებიც ინახებოდა სსრ კავშირის სახელმწიფო არქივებში.

გადასაცემი საარქივო მასალები განეკუთვნება პერიოდს VIII საუკუნიდან 1945 წლამდე და მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ჩეხოსლოვაკიის ისტორიის შესწავლისათვის.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. გ. ა. ქრისტესაშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის სატიტო წოდების მინიჭების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და რესპუბლიკის კავშირგაბმულობის საშუალება განვითარების საქმეში მრავალი წლისა და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრს ამხ. გიორგოლ ანდრიას-ძე ქრისტესაშვილს საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის სატიტო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოჩენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1961 წლის 16 ოქტომბერი.

შენთვის, სამშობლოვ!

ქუთაისი. რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის მშრომელებმა, პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა, ახალი შრომითი საჩუქრებით აღნიშნეს ოქტომბრის დღესასწაული. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ათი თვის დავალება. მოკლე ხანში აითვისა სარეგავი ავტომობილის „კოლხიდის" („კაზ-606") სერიული წარმოება. ამ მანქანის პირველი პარტია ყრილობის მუშაობის დღეებში გაეგზავნათ ენგურჰესის მშენებლებს.

დიდ შრომითს წარმატებებს მიაღწიეს მაღაროთა სამმართველომ და საკონსერვო ქარხანამ, რომლებმაც უკვე შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალებანი.

ხაგი. ცნობილმა მესიმინდემ კოსტა ჯოჯუამ პირობა გაანაღდა. სამი ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე 178,1 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. სულ კოლმეურნეობის ბელელში მოწინავე მესიმინდემ 520 ცენტნერი სიმინდი მიიტანა.

ბახარაძე. ნატანების ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი წელს სამშობლოს 13 მილიონ ცალ ლიმონს, მანდარინსა და ფორთობალს მისცემს. აქ უკვე მოკრეფილია 2 მილიონი ცალი მანდარინი.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პირველი სადნობი საამქროს № 2 ღუმელის მდნობელთა ბრიგადამ, რომელსაც სკკპ XXII ყრილობის დელეგატი ლევან კობახიძე ხელმძღვანელობს, პარტიის ყრილობის გახსნის დღისათვის — 17 ოქტომბრისათვის შეასრულა 10 თვის გეგმა და დაზოგა 305 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ათიოდე დღეა ლ. კობახიძე ყრილობიდან თავის ბრიგადას დაუბრუნდა. სახელოვანი ბრიგადირი და მისი ბრიგადის წევრები მოწინავეთა ვახტზე დგანან და ახალი ენერგიით იბრძვიან, რათა მათ ბრიგადას მიეკუთვნოს სკკპ XXII ყრილობის საპატიო სახელი. **სურათზე:** ლ. კობახიძე.

ფოტო გ. გურსამიანი. (საკდესის ფოტოკორონიკა).

სოფლის სიმდიდრე

ალმე. — ასე ეძახდნენ წინათ ამ სოფელს.

სამას წელს ჩადრი ეხურა ალმელთა მთვარეს.

სამას წელს ტიროდა მიწაში ჩარჩენილი ფესვი ვაზისა. ოქტომბრის რევოლუციის გრიგალმა არსიანის მთებში გადარეკა ალმეს ცაზე გაწოლილი ღრუბლები. გამოიდარა მთაში. ოქტომბერმა ალმეშიც ალისფერი დრომები ააელვარა.

იმ დღიდან ალმეს ოქტომბერი დაარქვა ხალხმა.

ცეცხლს მისცეს ჩადრი ქალიშვილებმა...

და ახლა მთელ აჭარაში იცნობენ ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბერს. ამაღლდა, განახლდა სოფელი. კოლექტიურმა შრომამ წელში გაამართა მთიელი გლეხი.

მეცხოველეობა, „მინდვრის დედოფლის" საბრძანებლები, განახლებული ვენახები და თამბაქოს ოქროსფერი პლანტაციები, ხეხილის ბაღები — აი ოქტომბერელ მშრომელთა შეძლებული ცხოვრების წყარო.

ოქტომბერელ გამრჯე მშრომელთა ქება ვის არ სმენია აჭარაში.

იცნობდეთ, ეს ჰარმაგი მოხუცი აღალ ბოლქვაძეა. ოთხმოც წელს მიღწეულ აღალს „ცოცხალ მატიანეს" ეძახიან აქაურები.

— პირველ ორმოც წელს, — ამბობს აღალი, — სათვალავში ნუ მიიღებთ, დაკარგულია...

აღალი თავის ასაკს ოქტომბრის მზის ამოსვლიდან ითვლის.

— მაღე კომუნიზმის მზის ამოსვლასაც მოვესწრები! — თავის ფიქრებს გვიზიარებს იგი. — ჩვენი თაობა კომუნიზმის დროს იცხოვრებსო, ამბობს პარტია, და ასეც იქნება! კომუნიზმის მშენებლობაში ჩვენც შეგვაქვს წელილი. ოქტომბრელებმა პირნათლად შეასრულეს წინასაყრილობო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. სახელმწიფოს გეგმის ზევით 8 ტონა ხმელი თამბაქო ჩაბარეს. მ. აბულაძის კომუნისტური შრომის ბრიგადამ თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებისათვის საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

— მეგანახეებმა, — განაგრძობს აღალი, — ღვინის ქარხნებს ტონობით ყურძენი გაუგზავნეს. ჰექტარე ჯაყელმა, მაჭიდ, ნური და შაქრო მელაძეებმა ჰექტარზე სამეალოდ 100-120 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს.

— პარტიის XXII ყრილობამ დიდი რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების დავალებათა შესრულება. პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, მომავალში კიდევ უფრო განვავითარებთ სოფლის მეურნეობას და სახელმწიფოს მივცემთ მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

ახალი გამარჯვება

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელები თავდადებულად შრომობდნენ პარტიის XXII ყრილობისათვის მზადებისა და მიმდინარეობის დღეებში. ახლა მეტი შეუპოვრობით იბრძვიან ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის და ახალ გამარჯვებებს აღწევენ.

ამ დღეებში აქ სასიხარულო ცნობა მიიღეს. მესამე კვარტალში მაღალნაყოფიერი მუშაობით კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა რესპუბლიკაში პირველი ადგილი დაიკავა, რისთვისაც მიეკუთვნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. მაღაროს კოლექტივი (დირექტორი ს. კვარაცხელია, პარტბიუროს მდივანი ო. გოგატიშვილი, მაღაროკომის თავმჯდომარე პ. კაპანაძე) ჯილდოს პასუხად მარგანეცს დეკემბრის ანგარიშში იძლევა.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მესამე ადგილი მოიპოვა დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა (დირექტორი ა. ხოგუა, პარტბიუროს მდივანი ბ. მახათაძე, მაღარკომის თავმჯდომარე დ. კახნიაშვილი).

ჭიათურელი მაღაროელები ახალი საგმირო საქმეებით უპასუხებენ პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ბიბლიოთეკა

ბუნებისმეტყველება

ამერიკული ბომბის კიდევ ერთი მსხვერპლი

ტოკიო, 10 ნოემბერი, (საკდესი). ქალაქ ნაგასაკის მცხოვრებლებმა ამერიკის მიერ ატომური დაბომბვის მსხვერპლთა სიაში შეიტანეს კიდევ ერთი სახელი — იოსიტი კისიდა. მრავალი წლის განმავლობაში იგი იტანჯებოდა სხივური ავადმყოფობით, მაგრამ სიკვდილამდე მხოლოდ ორი დღით ადრე მან შეძლო, ბოლოს, მიეღწია იმისათვის, რომ იგი დაეწვინათ ნაგასაკის ჰოსპიტალში, სადაც მკურნალობენ ატომური დაბომბვისაგან დაზარალებულნი. კისიდამ ვერ აიტანა წვალება და მოიკლა თავი.

ნგო დინ დიემის ჯარისკაცები დეზერტირობენ

ბანგი, 10 ნოემბერი. (საკდესი). სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა სააგენტო „განთავისუფლება" იუწყება ნგო დინ დიემის არმიიდან ჯარისკაცთა დეზერტირობის ბევრი შემთხვევის შესახებ. მიმდინარე წლის პირველ ცხრა თვეში, იუწყება სააგენტო, ხალხის მხარეზე გადავიდა ნგო დინ დიემის 5,5 ათასზე მეტი ჯარისკაცი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘ

მოვიდოგისა და მეგოგრობის ესტაფეტა

მოსკოვი. 10 ნოემბერი. (საკდესი). დღეს მოსკოვის მანეჟის მოედანზე სტარტი მიეცა მოვიდოგისა და მეგობგრობის ესტაფეტს, რომელიც ჩეხოსლოვაკიის საზღვრისაკენ მიდის.

მოედანზე სტარტის წინ ბაიკალთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა მეგობგრობის ერთთვიურსა და საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობგრობის, ურთიერთდახმარებისა და ოფიციალურ-ოფიციალურ თანამშრომლობის ხელშეკრულების 18 წლისთავს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲚᲐ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲗ ᲡᲐᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲗ

ᲐᲛᲑᲐᲜᲐᲒᲘ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲔᲠᲚᲘᲗ

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞᲡᲣ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

როგორ შეუდექით მუშაობას, ამხანაგებო?

ბი მიწყდა ოვაციები კრემლის ყრილობათა სასახლეში და ერთი კვირის შემდეგ ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად იდღესასწაულეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44-ე წლისთავი.

სკკპ ახალი პროგრამა, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ მიიღო, დაეუფლა მილიონთა გულებს. ახლა საბჭოთა ხალხის მთელი ფიქრები და ძალები მიმართულია იქითკენ, რომ ხორცი შეესხას კომუნისტური პარტიის ბრძნულ წინასწარგასახულობას. კომუნიზმის აშენება ხალხის ხელების, მისი ენერგიის, მისი გონების საქმეა.

კომუნიზმის მშენებელთა რიგებში არიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც. გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ყოველდღიურად იღებს ათეულობით წერილს, რომლებშიც მშრომელები მოგვითხრობენ თავიანთ ყოველდღიურ მოღვაწეობაზე. მომავლის გეგმებსა და პერსპექტივებზე.

ყრილოგის გადაწყვეტილებანი მოქმედებაში

ჩარხმშენებელთა წვლილი

ჩვენ ცხოვრება გვიხდება კაცობრიობის ისტორიის განვითარების ყველაზე შესანიშნავ პერიოდში, როდესაც საბჭოთა ადამიანები პარტიის ხელმძღვანელობით შევუდექით კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას, მშენებლობას, რომელსაც ელვარე შუქი მოჰფინა სკკპ XXII ყრილობამ.

რამდენიმე დღეა ყრილობამ დაამთავრა მუშაობა, მიიღო პარტიის ახალი პროგრამა და წესდება. პროგრამაში ცენტრალური ადგილი უჭირავს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, საბჭოთა კავშირის ძლიერების შემდგომ განმტკიცებას და შრომის მაღალი ნაყოფიერების უზრუნველყოფას.

მახსენდება ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენების და დასკვნითი გამოსვლის მღელვარე სიტყვები, აგრეთვე ის ფიქრები, რომლებიც მაშინ მოსვენებას არ მაძლევდა როგორც რიგით კომუნისტს, საწარმოს ხელმძღვანელს.

— კარგია, დაუფიწყარია ყოველივე, რაც ამ ყრილობაზე ხდება, — ვფიქრობდი, — მაგრამ ჩვენ, ქართველმა ჩარხმშენებლებმა, რით უნდა გამოგავლინოთ ჩვენი აქტიური მონაწილეობა კომუნიზმის მშენებლობაში? ახლა ამ კითხვაზე უკვე გვაქვს გარკვეული პასუხი.

წლითიწლობით იზრდება ჩვენი ქარხნის საწარმოო მაჩვენებლები. შარშან ჩვენმა კოლექტივმა 1955 წელთან შედარებით გაადიდა საერთო პროდუქციის გამოშვება, შრომის ნაყოფიერება 8 პროცენტით გაზარდა. უკანასკნელ სამ წელიწადში ქარხანამ მიიღო 783 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

პარტიის XX ყრილობიდან დღემდე ქარხანამ გამოუშვა 58 ახალი მოდელის ჩარხები. მარტო წელს ათ თვეში ჩვენ ავითვისეთ ათი ახალი მოდელის სპეციალური ჩარხების დამზადება.

თუ მიმდინარე შვიდწლედში ჩვენი ქარხნის კოლექტივმა 1,8-ჯერ უნდა გაადიდოს ლითონსაჭრელი ჩარხების გამოშვება, უახლესი ორი ათეული წლის განმავლობაში ჩარხების გამოშვება კიდევ უფრო მეტად გადიდდება. შეგძლებთ თუ არა ამ ამოცანის შესრულებას? ყველა მონაცემი გვაქვს დაბეჯითებით განვაცხადოთ, რომ ამ ამოცანას ჩვენი ქარხნის კოლექტივი წარმატებით დაძლევს. ამის საწინდარია ის ათობით ზეგეგმითი ჩარხი, რომელიც უკვე მივუძღვენით საჩუქრად დედა-სამშობლოს დიდი ოქტომბრის 44-ე წლისთავისათვის. ამის საწინდარია ის საერთო შრომითი ენთუზიაზმი, რომელმაც მოიცვა ქარხნის მთელი კოლექტივი და აღაფრთოვანა პარტიის XXII ისტორიული ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საბრძოლველად.

ამჟამად ჩვენი ქარხანა სერიულად ამზადებს 163 მოდელის ხრახნსაჭრელ უნივერსალურ ჩარხებს, ერთდროულად წვრილ-სერიული და ინდივიდუალური შეკვეთის მეტად დიდი ნომენკლატურის სხვადასხვა დანიშნულების სპეციალურ ჩარხებს, რომელთა შორის არის მაღალი წარმადობის ჰიდროფიცირებული ავტომატები და უწყვეტი მოქმედების დოლური ტიპის ჩარხები.

გათვალისწინებულია და უკვე ხორციელდება ღონისძიებანი ჩვენი ქარხნის შემდგომი გაძლიერებისა და პროდუქციის წარმოების გაზრდისათვის.

სპეციალური ჩარხების წარმოების პერსპექტივები, რომლებიც სკკპ პროგრამიდან გამომდინარეობს, მეტად დიდია.

ამიტომ ქარხნის კოლექტივი, მისი პარტიული ორგანიზაცია მთელ თავის ძალებს რაზმავენ იმისათვის, რომ აღმოიფხვრას მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, განსაკუთრებით სპეციალური ჩარხების წარმოებაში, ისე, რომ მიღწეულ იქნას ჩარხების წარმოების გეგმიანი ზრდა.

ჩარხების წარმოების ზრდა ჩვენს ქარხანაში უნდა მიმდინარეობდეს ორი მიმართულებით. ხრახნსაჭრელი უნივერსალური ჩარხების წარმოების ზრდა უნდა განხორციელდეს არსებული საწარმოო ფართობის გაუდიდებლად, შრომის ნაყოფიერების ამაღლებით, ერთ კვადრატულ საწარმოო ფართობზე უფრო მეტი პროდუქციის მიღების გზით, სპეციალური ჩარხების წარმოების ზრდა კი—შრომის ნაყოფიერების ამაღლებასთან ერთად ახალი საწარმოო ფართობების ამუშავებით და წარმადობის გაზრდით.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მთავრობის დადგენილებაში ჩვენი ქარხნის გაფართოების შესახებ მშენებლობის ვადა მეტად განსაზღვრულია. ახლა მილდასამუშავებელი და მილგამომყვანი ჩარხების დიდი რაოდენობა მეტად მწვავედ ესაჭიროება სახალხო მეურნეობას. ეს ჩარხები გაეგზავნება იმ საწარმოებს, რომლებიც ახლად შენდება ან რომლების რეკონსტრუქცია ხორციელდება. ამიტომ ჩვენმა კოლექტივმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ დროზე მიაწოდოს ასეთი ჩარხები მეტალურგიულ და მანქანათსამშენებლო მრეწველობის უმნიშვნელოვანეს ობიექტებს.

ყოველივე ამისათვის საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს ჩვენს ქარხანაში ახალი საწარმოო კორპუსის მშენებლობის დაჩქარებას, რათა დროულად ჩავაყენოთ იგი კომუნიზმის დიად მშენებლობათა მწყობრში.

ნ. კიზიმაძე,

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელო ქარხნის დირექტორი, სკკპ XXII ყრილობის დელეგატი.

დელეგატები სოფელში დაბრუნდა

მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში ჩვენი დიდი პარტიის XXII ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას რომ ვიღებდი, ჩემი სოფელი შრომა, ჩაის პატრონები, თქვენ ჩემს თვალწინ იყავით, მეგობრებო,— ასე დაიწყო ტატიანა ჩხაიძემ საუბარი კოლმეურნეებთან, რომლებიც მაზღარნის საკრებულოში იყვნენ გასულნი. — საგულდაგულოდ მოვლილმა ჩაის ბუჩქებმა შრომა დამიფასეს. თქვენც იცით 0.6 ჰექტარზე 13 ტონა „მწვანე ოქროს" მოსავალი რომ მივიღე.

— შე კაი ქალო, ერთი დღე მაინც დაისვენე, ოჯახში, დაღლილი ხარ, ამოდენა გზა გამოგვლია, — დაყვავებით ეუბნება მეუღლე ვალოდია ჩხაძე.

— დარდი ნუ გაქვს, — პასუხობს ტატიანა. ახა ახს ეთქმევინებ ახლა, ტატიანა ჩხაიძემ ჩაის კრეფის დავალება შესრულა და სიმინდის მოსავლის აღების ცხარე დღეებში სახლში ზისო. ჩვენ, სოფლელებმა წარგზავნილმა დელეგატებმა, პირობა დავუდეთ ყრილობაზე, რომ ვიმუშავებთ კომუნისტურად. ყველა ღონისძიებით განვახორციელებთ ყრილობის გადაწყვეტილებებს. ახლა ყველი წუთი ძვირფასია, ასეთ კარგ ამინდს უქმად დაკარგავს კაცი?!

— ხელმძღვანელიც ასეთი უნდა. იქ ჩვენი პარტიის დიდი ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა საქვეყნო საკითხების გადაჭრაში, დაბრუნდა და ხელიანად არც კი დაუსვენია, ისევ გვერდით ამოგვიდგა და შრომაში წაგვახალისა — ამბობს ძველი ბოლშევიკი ნიკა ჩხაიძე. — ტატიანამ მთელი სოფელი ასახელა, ბაძრა! — უმატებს მეორე.

კოლმეურნეებმა შესვენება მოაწყეს. იქვე ციტრუსების პლანტაციებთან შეკრიბნენ. ყველა დიდი ინტერესით უსმენდა თანასოფლელს. ეკითხებიან ყრილობის მუშაობის საყურადღებო საკითხებზე. ტატიანაც დინჯად უამბობს ყველაფერს, რაც დიდ ყრილობაზე ნახა, მოისმინა და განიცადა.

მარტო ის რად ღირს, რომ ვმონაწილეობდი ამ ისტორიული ყრილობის მუშაობაში, — ამბობს იგი, — რაოდენ ძვირფასი და სასიხარულოა. როცა პირადად ეცნობი ჩვენი დიდი სამშობლოს სახელოვან ადამიანებს, ყველა კუთხის საუკეთესო შვილებს, რომლებიც მოსკოვში წარმოგზავნეს საკაცობრიო საკითხების გადასაწყვეტად. ყრილობაზე შევხვდი ჩემს ძველ მეგობარს, ცნობილ მეჭარხლეს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს უკრაინელ ოლგა დიპტანტს, რომელიც პირველად ჯერ კიდევ 1959 წელს გავიცანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დიკემბრის პლენუმზე. ბევრი ვილაპარაკეთ საკოლმეურნეო ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე. დელეგატებს არასოდეს არ დაგვავიწყდება ხელმძღვანელი ამხანაგების გულახსნილობა. ერთხელ, როცა შესვენებიდან ვბრუნდებოდით, ქართველ დელეგატებს პირისპირ შეგვხვდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენი თხოვნით მასთან ერთად სურათი გადაიღეთ. ამით ნიკიტა სერგეისაძე ძალიან ნასიამოვნები დარჩა.

ყრილობის ტრიბუნიდან ბევრი რამ გავიგონეთ ჩვენი დიდი ქვეყნის შემდგომი აყვავების, კომუნისტური საზოგადოების აშენების გრანდიოზული პროგრამის განხორციელების შესახებ. ყველამ დიდი ინტერესით მოვისმინეთ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება, რომელშიც წარმოდგენილია ჩვენი წინსვლის ნათელი პერსპექტივები.

თქვენ კარგად იცით, რომ ჩემი რგოლის წევრებმა 50 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული ჩაბარეს წარმოებას. ჰექტარზე 12 ტონაზე მეტი მოსავალი მივიღეთ. მაგრამ ეს არ კმარა. მტკიცედ მჯერა, რომ 1962 წელს კიდევ უფრო გავზრდით სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვეს. როგორც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, ლენინდანვე იწყება პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლა. ახლა ყოველი წუთი ძვირფასია.

დელეგატმა კიდევ ბევრი რამ საინტერესო თქვა, რაც გულდასმით მოისმინეს კოლმეურნეებმა. თავიანთ აღტაცებას ვერ მალავენ სოციალისტური შრომის გმირები შ. კუბუსიძე, მ. ჩხაიძე, კოლმეურნეები ჭ. ქვაჭანტირაძე, ი. ჭაკენელიძე და სხვები, რომლებიც ამაყობენ თავიანთი რგოლის სახელოვანი ხელმძღვანელით.

ბარაქიანი შემოდგომაა მაზარაძის რაიონის სოფელ შრომაში. ერთხელაც და მრავალწლიან კულტურათა უხვ მოსავალს იღებენ შრომისმოყვარე კოლმეურნეები.

ბ. ჩხაიძე,

„კომუნისტის" საკ. კორ.

სურათზე: ტატიანა ჩხაიძე კოლმეურნეთა ერთ ჯგუფს ესაუბრება სკკპ XXII ყრილობის შედეგებზე.

ფოტო ი. ეკვეწიძისა.

სიუხვის გზაზე

უსაზღვრო ბედნიერება მხვდა წილად მონაწილეობა მიმეღო სკკპ XXII ყრილობის მუშაობაში, რომელმაც დაამტკიცა კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამა.

პარტიის ახალ პროგრამაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახულია სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა, ჩვენს ქვეყანაში სურსათის სიუხვის შექმნა.

მუხროვანის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობას ყველა საშუალება აქვს გადალახოს სანიმუშო, მაღალრენტაბელურ საწარმოდ, მოგვცეს სულ უფრო მეტი მეცხოველეობის პროდუქტები.

უკანასკნელ წლებში ჩვენს კოლექტივს ძალები არ დაუშურებია იმისათვის, რომ გაეიდიდებინა რძის, ხორცისა და კვერცხის წარმოება.

განსაკუთრებით ღირსსახსოვარი და დაუვიწყარია მუხროვანელთათვის, ისევე როგორც მთელი ქართველი ხალხისათვის, 1961 წელი. მიმდინარე წლის 4 თებერვალს ჩვენს მეურნეობას ესტუმრა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. იგი ღრმად დაინტერესდა ჩვენი მეურნეობის მდგომარეობით, აუფრდება მიაქცია შრომატევადი პროცესების მექანიზაციას, მოგვიწონა ძროხების დაუბმელად შენახვის ხერხი და ბევრი სასარგებლო რჩევა-დარიგება მოგვცა.

ნ. ს. ხრუშჩოვის ძვირფასი მითითებების შესასრულებლად მეურნეობის კოლექტივმა, რომელიც სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში იყო ჩაბმული, ახალი წარმატებები მოიპოვა. მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მიღებულია 455 ცენტნერით მეტი ხორცი და 284 ცენტნერით მეტი რძე. აღსანიშნავია ისიც, რომ წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. მაგალითად, ერთი ცენტნერი რძის წარმოებაზე 10 თვის მანძილზე 0,6 კაცდღე დაიხარჯა, როცა შარშან ეს ციფრი ერთიორად მეტი იყო.

მეცხოველეობაში მთავარი ყურადღება მიპყრობილი იყო მტკაცე საკვები ბაზის შექმნისაკენ, რაშიც დიდად დაგვეხმარა სიმინდი. წელს მეურნეობაში სიმინდის ნათესმა ფართობმა 800 ჰექტარი შეადგინა შარშანდელი 500 ჰექტარის ნაცვლად.

ეს წარმატებები, ტპრეველეს ყოველსა, უნდა მივაწეროთ მეცხოველეობის კულტურის ამაღლებას, პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაძლიერებას, მიწის ეფექტურ გამოყენებას. ჩვენ რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველებმა შემოვიღეთ ძროხების დაუბმელად შენახვის წესი.

ამჟამად ამ პროგრესულ მეთოდზე გადაყვანილია მეურნეობის ძროხების მთელი რაოდენობის დაახლოებით ნახევარი — 400 სული. მალე დაუბმელად შენახვაზე გადავიყვანთ ძროხების მთელ სულადობას. შრომის დიდ ეკონომიას იძლევა საწველი აგრეგატი „იოლკა", რომლითაც ერთი მეცხოველე ორ საათში 140-150 ძროხას წველის, უახლოეს ხანში ჩვენთან ახალი „იოლკები" გაჩნდებიან. ისინი ყველა საწველ აგრეგატს შეცვლიან.

მეურნეობაში მოვაწყეთ ვიტამინური თივის ფქვილის დასამზადებელი ქარხანა, რომელიც ყოველდღიურად 5-6 ტონა პროდუქციას გამოუშვებს. სულ მალე საუკეთესო ხარისხის ორგანული სასუქს მოგვცემს ბიოგაზის დანადგარი, რომლის მიერ გამოყოფილ გაზს საცხოვრებელი ბინების გასათბობად გამოვიყენებთ.

გაბედულად ვნერგავთ ყოველივე ახალს, მოწინავეს და პროგრესულს მეწინდგომეობაშიც. „მინდგომის დედოფალს" მთლიანად ვფესავთ კვადრატულ-ბუდობრივად და ნათესებს ვამუშავებთ კომბალეტსერი მექანიზაციით. სიმინდის ნათეს მთელ ფართობზე წლიურად შეგვაქვს 10 ათასი ტონა ორგანული სასუქი. სარეველების წინააღმდეგ ვიყენებთ ჰერბიციდებს.

პარტიის XXII ყრილობაზე შესვენებების პერიოდში კრემლის ყრილობათა სასახლის კულტურებში ვხვდებოდი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ბევრ გამოჩენილ ადამიანს, მათ შორის მანუკოვსკის, გიტალოვს, დოლინიცას, ჩიკს, რომლებთანაც საინტერესო საუბრები მქონდა. ეს საუბრები შეეხებოდა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს. მათგან ბევრი რამ ახალი ვისწავლე და ზოგიერთი ჩემი მოსაზრებაც გავუზიარე.

ვლაპარაკობთ რა მოპოვებულ პირველ წარმატებებზე, ერთ წუთსაც არ გვავიწყდება, რომ ისინი შეიძლებოდა გაცილებით ბევრი ყოფილიყო, თუ ჩვენ უფრო მეტად მოვიხდომებდით და ძალებს დავეხებავდით.

ამიტომ თამამად ვუსწორებთ თვალს გაზრდილ მოთხოვნებს. მეურნეობის მუშაკებმა ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად აწონ-დაწონეს თავიანთი რეზერვები. გადაწყვიტეს უკვე მომავალ წელს აწარმოონ 22 ათასი ცენტნერი რძე, რაც 7 ათასი ცენტნერით მეტია მიმდინარე წლის გეგმაზე. 1962 წელს წარმოებულ იქნება თითქმის ერთიორად მეტი ხორცი და კვერცხი. გადაწყვეტილი გვაქვს მომავალი წლიდან რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყოველწლიურად მივაყოთ 400 სული ჯიშიანი მოზარდეული.

საბჭოთა მეურნეობაში ყველა ღონისძიება ხორციელდება იმისათვის, რომ საკვები ბაზა კი არ ჩამორჩებოდეს, არამედ წინაც უსწრებდეს მეცხოველეობის განვითარებას. ამ მიზნით ერთხელ კიდევ გადავსინჯეთ ნათესების სტრუქტურა, დავსახეთ სიმინდის წარმოების გადიდების ღონისძიებანი.

1962 წლისათვის დავთესავთ 1.000 ჰექტარ სიმინდს და 700 ჰექტარ მრავალწლიან ბალახებს, გავაფართოებთ ცალკეთ მდიდარი პარკოსანი კულტურების ნათესებს.

სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული მუხროვანის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი ყველაფერს აკეთებს პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის და მომავალი წლის უხვი მოსავლის საფუძვლის ჩასაყრელად. დაგვიმზადეთ 2.600 ტონა უხეში საკვები, აგრეთვე დიდძალი სხვა საკვები. მიმდინარეობს მეცხოველეობის ბინების რემონტი, ვამენებთ 4 თაღოვან საძროხეს, რომლების ექსპლოატაცია წელსვე დაიწყება.

წარმატებით მიმდინარეობს მზრალად ხვნა, თვალსაჩინოვით ეფექტი საშემოდგომო ნათესებს. ვცდილობთ მომავალ წელს მემინდვრეობაშიც გავამრავლოთ მიღწევები.

„საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!" — მერამდენედ ვკითხულობთ პროგრამის ამ სიტყვებს და გული სიხარულით გვევსება. ეს სიტყვები ძალებს გვმატებს და აღგვაფრთოვანებს პარტიის მიერ დასახულ დიად წინასწარგასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ვ. კორძაძე,

საგარეჯოს რაიონის მუხროვანის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სკკპ XXII ყრილობის დელეგატი.

შრომისაკენ, შრომისაკენ!

ფოთელფაარო. („კომუნისტის" კორ.). **რაიონის მშრომელები დიდი ინტერესით ეცნობიან და სწავლობენ სკკპ XXII ყრილობის მასალებს. ყოველი მათგანი ცდილობს ღრმად გაიაზროს ამოცანების სიდიადე, განსაზღვროს თავისი ადგილი კომუნიზმისათვის მებრძოლთა რიგებში.**

— შენთან, მშობლიურო პარტია, არის ჩვენი გული და ფიქრები, —განაცხადა სკკპ XXII ყრილობის მასალების გაცნობისას სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ყოჩიაშვილმა. როცა კითხულობ ყრილობის მასალებს, გული სიამაყითა და ბედნიერებით გევსება. ჯაფარიძელი კოლმეურნეები ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, ვამრავლოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

ახლა ჯაფარიძელები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. უკვე ახუქებენ 800 სულ ღორს. კოლმეურნეობა პირობაა იმუშაონ ისე, რომ კარგი მოვლა-კვების შედეგად თვითეული ღორის წონამ მიაღწიოს საშუალოდ 80 კილოგრამს. გარდა ამისა, 1962 წლის იანვრისათვის იყოლიებენ 2 ათას ღორს გეგმით გათვალისწინებული 1.600-ის ნაცვლად.

კომუნისტი

№ 2 გეორგი, შაბათი, 11 ნოემბერი, 1961 წ.

სიტყვამართალი კაცი

ამ კაცს ხშირად ნახავთ მაზარაძის რაიონის **გზებზე**, დინჯი, მტკაცე ნაბიჯებით მიმავალს. და ყველა, ვინც მას შეხვდება, შეჩერდება და ჰკითხავს:

— ამხანაგო ილარიონ, ჩვენთან? — გელოდებით ეუცილებლად.

ილარიონ შეწირული საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მაზარაძის რაიონული განყოფილების წევრია. მან დიდი ხანია ექვს ათეულ წელიწადს გადაცილებია, პენსიონერია, მაგრამ ვერც ყინვა, ვერც თოვლი და წვიმა ვერ აჩერებს სახლში. წლის ყოველ დროს გზაშია ილარიონი, სოფლიდან სოფელში გადადის, ლექციებს მართავს რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლეტერნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ფერმებსა და ბრიგადებში, მსმენელებს მოუთხრობს ჩვენი ქვეყნის საშინაო ვდგომარეობაზე. საბჭოთაგარეთის ქვეყნებში მიმბზარა ტენინშვნელოვანეს ამბებსა და მოვლენებზე.

ამ ამბავს ბევრ ადგილას ეუბნებიან ილარიონ შეწირულმა 35 წლის წინათ დაიწყო. მაშინ პირველად თავისი ამხანაგების წინაშე გამოვიდა მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობაზე. იმ სამახსოვრო დღიდან ვინ იცის რამდენჯერ გამოსულა სხვადასხვა აუდიტორიების წინაშე ლექციებითა და მოხსენებებით. მასალის ღრმა ცოდნა, ცოცხალი, დამაჯერებელი და მკაფიო ენა სიუხვისა, რომელიც ალსავსეა ცხოვრებიდან აღებული მკაფიო, ნათელი მაგალითებით, — აი რა ხდის მიმზიდველს ილარიონ შეწირულის ლექციებს.

მაინცდამაინც დიდი აუდიტორია არ უყვარს ილარიონს.

— ასე უფრო იოლია დაინახო და იგრძნო მსმენელთა განწყობილება, გამართო მათთან გულწრფელი საუბარი, — ამბობს იგი.

ილარიონ შეწირულს და მის ამხანაგებს — პლეტერეული და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების რაიონული განყოფილების წევრებს ახლა განსაკუთრებით დიდი სამუშაო აქვთ. ეს დაკავშირებულია იმ პოლიტიკური აღმავლობის ვითარებასთან, რაც გამოიწვია პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებმა.

ოფლების ლექტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სკკპ ახალი პროგრამისა და წესდების მშრომელთათვის გაცნობას.

ილარიონ შეწირულმა მოამზადა და როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე კითხულობს ლექციებს თემებზე: „კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა", „სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის თავისებურებანი".

...იმ დღეს წვიმდა. ილარიონი სოფლისაკენ მიმავალ გზას მიჰყვებოდა. ლექტორს სთხოვეს: დაიცადეთ, წვიმა გადაიღებს და წასვლას შემდეგაც მოასწრებთო.

— ხალხი მელოდება, ხალხი, — თქვა ილარიონმა და გზას გაუყვა. ლექცია ზუსტად დანიშნულ დროზე შედგა. მეორე დღეს კი ილარიონი უკვე სხვა სოფლისაკენ მიიჩქაროდა.

ა. გურული.

მეშახტეთა საჩუქრები

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). **მეშახტეები, ენერგეტიკოსები, შახტის მშენებლები, ამ ინდუსტრიული ქალაქის ყველა მშრომელნი, პარტიის XXII ყრილობის მიერ შემუშავებული კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამით აღფრთოვანებულნი, ვმკიცედ იბრძვიან კომუნისტური შრომის ქალაქის საპატიო სახელის მოკოვებისათვის.**

„ტყვარჩელქვანახშირის" ტრესტმა ჯერ კიდევ 26 ოქტომბრისათვის გაანადღა ქვანახშირის მოკოვების ათი თვის დავალება და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 20 ეშელონი სპობოი.

განსაკუთრებით ქარგად იშრომეს სტალინის სახელობის № 1 შახტის მშრომელებმა. მათ 6 ნოემბრისათვის გაანადღეს ქვანახშირის მოკოვების თერთმეტი თვის გეგმა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 9 ათასი ტონა „შავი ოქრო" ნაცვლად წლიური ვალდებულებით ნაკისრი 5 ათასი ტონისა.

ამ სასიხარულო დღეებში კიდევ ერთი შრომითი წარმატება მოიპოვა ცენტრალური გამაუხვეველი ფაბრიკის კოლექტივმა. მან 6 ნოემბერს გაანადღა თერთმეტი თვის საწარმოო გეგმა და რუსთაველ მეტალურგებს დამატებით გაუგზავნა 25 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი კონცენტრატი.

ცხოვრების ნათელი სარკე

არასოდეს არ დამავიწყდება სკკპ XXII ისტორიული ყრილობის მუშაობის დღეები. მეც ვიყავი ამ ყრილობის დელეგატი და ხმა მიგეცი კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პროგრამას.

